ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ლეჩხუმი

პირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი

რაიონის გამგეობისა და საკრებულოს ორგანო

რეგისტრაციის ნომერი №57/1-180

№23 (57) მარტი, 2007 წელი

ფასი 30 თეთრი

საკრებულოს სხდომაზე

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1. „ცაგერის მუნიციპალიტეტის 2007 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 9 თებერვლის დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

(ვ. კერესელიძე)

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ორგანოების დებულების დამტკიცების შესახებ.

(კ. კოპალიანი)

3. „ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, გამგეობის, ამ ორგანოთა აპარატების, სტრუქტურული ერთეულების, ტერიტორიული ორგანოების, თანამდებობის პირთა, საჯარო მოხელეთა და მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 8 თებერვლის დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

(ზ. ხეცურიანი)

4. ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის (ქირის) განსაზღვრის შესახებ.

(ზ. მინდაძე)

5. ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ.

(ვ. კერესელიძე)

6. ქ. ცაგერში წყლისა და ნაგვის გადატანის გადასახდელების განსაზღვრის შესახებ.

(ვ. კერესელიძე)

7. ქ. თბილისში გასაგზავნი მემორიალური კომპლექსისათვის საჭირო ქვის მომპირკეთებელთა შრომითი ანაზღაურების შესახებ.

(ვ. კერესელიძე)

8. ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2007 წელში დაფინანსებულ სამუშაოთა ნუსხის შესახებ.

(ვ. კერესელიძე)

9. „ლეჩხუმისათვის მზრუნველთა ასოციაციის“ თავმჯდომარის ნ. გოგრიჭიანის განცხადების განხილვის შესახებ.

(ვ. კერესელიძე)

10. ქვედა ცაგერში მცხოვრებ ნანა ხეცურიანის ოჯახზე დახმარების გაწევის შესახებ.

(ვ. კერესელიძე)

11. ქ. ცაგერში სასტუმრო „ლეჩხუმში“ განთავსებულ ლტოლვილთა განცხადების განხილვის შესახებ.

(ზ. ხეცურიანი)

12. ავადმყოფი და განსაკუთრებით ხელმოკლე ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

(თ. თვარაძე)

13. „ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის 2006 წლის 13 ნოემბრის დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

(ზ. ხეცურიანი)

14. 2007 წლის დასაწყისისათვის რაიონულ ბიუჯეტში არსებული ნაშთის განაწილების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 8 თებერვლის №77 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

(ზ. ხეცურიანი)

15. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კეთილმოწყობის“ დაფუძვნების შესახებ.

(ზ. ხეცურიანი)

16. სახელმწიფო წილით დაფუძნებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება კეთილმოწყობის რეგისტრაციისათვის ხარჯის გამოყოფის შესახებ.

(ზ. ხეცურიანი)

17. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საბინაოს“ დაფუძვნების შესახებ.

(ზ. ხეცურიანი)

18. სახელმწიფო წილით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საბინაოს“–რეგისტრაციისათვის ხარჯის გამოყოფის შესახებ.

(ზ. ხეცურიანი)

19. სხვადასხვა.

(ზ. ხეცურიანი)

სხდომამ განხილულ საკითხებზე მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები.

28 მარტი, 2007 წ.

ეს დიე ჟენია!

ნელ-ნელა, ჩუმად, ფეხაკრეფით მოცოცას გაზაფხული ისე, ვერშესამჩნევად. მერე, მერე ერთიანად. გახდება ხილული სიმწვანე. „აფეთქდებიან ჯუჯა ატმებიც“. მზეც სხვანაირად დააშტერდება გალეულ ფურისულასა და იას. ნაზამთრალი სულს დაღლილი დედამიწა კი ერთიანად ამოისუნთქებს გულში ვერდატეული ნაღველივით და იგრძნობ რა შეუმჩნევლად შემოსულა გაზაფხული შენს ქალაქში.

***

გაზაფხული—წელიწადის ეს ულამაზესი დრო სიცოცხლესთან, სილამაზესთან ასოცირდება. სწორედ, ამიტომ ადარებენ ქალს. ამიტომაცაა, ალბათ, ამ მშვენიერი სქესის ღირსშესანიშნავი დღეების სიმრავლე გაზაფხულის პირველ თვეში.

ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის წარმომადგენელმა თამილა ჭაბუკიანმა (გაერთიანებული სამსახურის ხელმძღვანელი გოგი კვირიკაშვილი) 3 მარტის, ანუ დედის დღის აღსანიშნავად გადაწყვიტა ასი ლარი გადაეცა იმ დედისათვის, რომელსაც ამ დღეს შეეძინებოდა შვილი. განზრახვის ასრულება მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ მოხერხდა (?!)

ბოლო წლების შობადობის სტატისტიკას თუ გადავხედავთ, აშკარად შეინიშნება, ამ მხრივ, დაბალი მაჩვენებელი. ეს ფაქტი, დამერწმუნებით, ძალზე დამაფიქრებელი და საგანგაშოა.

ლეჩხუმში დემოგრაფიულმა პრობლემამ წინა პლანზე გადმოინაცვლა, რაც განპირობებულია, პირველ რიგში, მძიმე სოციალური მდგომარეობით. 2006 წელს მხოლოდ 34 ახალშობილი დაიბადა. ზოგჯერ რამდენიმე კვირა ისე გადის, რომ სამშობიარო განყოფილება პაციენტს ვერ ღებულობს და ამას მტკივნეულად განიცდის მომსახურე მედ-პერსონალი. თუმცა, ამ შემთხვევაში, ჩვენ იმ იღბლიან დედას დავუბრუნდეთ, რომელსაც ზემოთაღნიშნული თანხა გადაეცა. ეს გახლდათ მაკა მამარდაშვილი. მაკა ოჩამჩირის რაიონიდანა. განგებამ ლუხვანელ ამირან ლეთოდიანს შეახვედრა და შეიქმნა ერთი ლამაზი, ქართული ოჯახი. გაჩნდა მაგდა, მოგვიანებით—ნათია: მესამე შვილის, მაიას ამ ქვეყნად მოვლენამ კი კვლავ გაახარა მშობლები. ჩვენს კითხვაზე ხომ არ აპირებს მომავალში კიდევ შესძინოს პატარებს და ან ძმა, გვიპასუხა—სურვილი კი მაქვს, მაგრამ შესაძლებლობის რა მოგახსენოთო. ცხოვრობენ ასე, მოყვარეს მოყვრულად ხვდებიან, მტერს მტრულად. მატერიალურ სიმდიდრეს არ აიდიალებენ მათ ხომ ღმერთისგან ნაბოძები სიმდიდრე გააჩნიათ შვილების სახით და იმედსაც არ კარგავენ უკეთესის მოლოდინში.

ეკა ყვირილიანი

ძვირფასო ლეჩხუმელებო!

ღვთის განგებით ლეჩხუმში წმინდა მაქსიმეს სახელობის ეკლესია უნდა აშენდეს. ეს დიდი მადლია ჩვენი ეთხისათვის, დიდი წყალობა ღვთისაგან და დიდი იმედი მომავლისათვის... თუ ლეჩხუმს, ოგორც ერთ ლამაზ ეთხეს, ახსებობა უნერია, ეს წმინდა მაქსიმეს მადლი იქნება. წმინდანი ხომ გვმოძღვრავს: „დავემორჩილით ღვთის სიტყვას...“

მეუფე სტეფანეს ლოცვა-ეთხოვნით მიმდინარე წელს ქალაქ ცაგერის ცენტრში დაიწყება მშენებლობა წმინდა მაქსიმეს საეკლესიო ტაძრისა, ომელიც მომახლოებულია მსოფლიო მნიშვნელობის სამყაროს დიდი ინტერესი...

ძვირფასო ლეჩხუმელებო! თუ ოდესმე გიფიქრია ჩვენი ლამაზი ეთხის გადასარჩენად, ახლა გეძლევათ შანსი აეთოთ ღვთის საქმე.

გთხოვთ გაილოთ ფელადი შემონირულობანი.

ლეჩხუმელებო, ხომ არ მოვიყოჭლებთ ჩვენი ეთხის გვერდში დგომის საქმეში, დავინყოთ პასიერობა და დავდგეთ დიდი მადლის ეთების
აღობის ნინაშე.

ბანკი რესპუბლიკა
ანგარიში ლარებში: 3608080392
სავალუტო ანგარიში: 3618080392

სახალხო ბანკის ცაგერის ფილიალი
ანგარიში ლარებში: 33050064

ლეჩხუმელ მანდილოსანთა წარმომადგენლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს რაიონში გარკვეული რეორგანიზაცია ჩატარდა ბევრ დაწესებულებაში, შეიქნა ახალი სამსახურებიც. მათ შორის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო და საგანმანათლებლო სამსახური, რომელსაც სათავეში ჩაუყენეს ქალბატონი მარინა ბურჯალიანი. ქალბატონი მარინასათვის ეს სფერო ახალი და უცხო ნამდვილად არ არის, ის დიდხანს მუშაობდა ცაგერის განათლების განყოფილებაში და კვალიფიცირებული და სამართლიანი პედაგოგის დამსახურებული იმიჯი აქვს. ქალბატონი მარინას ამ სამსახურში მობრძანებამ დიდი იმედი ჩაუსახა პედაგოგებს. ჩვენც წარმატებას ვუსურვებთ მას და რამდენიმე კითხვით გავესაუბრებით.

ეროვნული ქალისლეკვით წიგნიერებისა და ღვაწლით

იოსეფრვიუ

როგორ, როიდან და რა ფორმით ჩამოყალიბდა თქვენი სამსახური?

—„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში 2006 წლის 14 დეკემბერს შევიდა დამატებები და ცვლილებები, რომლებიც დაკავშირებულია სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო და საგანმანათლებლო დაწესებულებების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნებასთან.

კანონის 30-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო უფლებამოსილია არასამეწარმეო იურიდიული პირის ფორმით დააფუძნოს სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 5 მარტის №19 განკარგულებით შეიქმნა ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო არასამეწარმეო (არაკომერციული) სამსახური, რომელსაც აპარატის სახით სამი თანამშრომელი მოემსახურება: სამსახურის უფროსი, ბუხჰალტერი და მოლარე.

რა შედის სამსახურის კომპეტენციაში?

—სკოლამდელი და სკოლისგარეშე სამსახური აერთიანებს მუნიციპალიტეტში არსებული საბავშვო ბაღებს და მოსწავლე ახალგაზრდობის სახლს, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ადგილობრივი თვითმმართველობის სკოლამდელი და სკოლის გარეშე მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში სახელმწიფო მმართველობისა და პოლიტიკის განხორციელებას. აღნიშნული სამსახური არსებული საბიუჯეტო სახსრებიდან გამომდინარე განსაზღვრავს პროგრამული დაფინანსების პრიორიტეტებს და საკადრო საკითხებს.

ბაღები ბოლო დროს საკმაოდ რთული თემაა, რა მდგომარეობაა დღეისათვის.

—გეთანხმებით. დავიწყოთ იქიდან, რომ რაიონში სულ 13 საბავშვო ბაღი და ერთი მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი ფუნქციონირებს. მუნიციპალიტეტში არსებული საბავშვო ბაღებისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ის შენობა ნაგებობები, სადაც განთავსებული არის ეს დაწესებულებები, არის მუნიციპალიტეტის საკუთრება, რომელიც ჩვენს სამსახურს გადმოეცა უვადო სარგებლობაში. მინდა აღვნიშნო, რომ სურათი ძალზედ არასახარბიელოა. ბოლო ათი წლის განმავლობაში აღნიშნულ, აღნიშნულ სასწავლო-სააღმზრდებლო დაწესებულებებს მატერიალური შევსების თვალსაზრისით არაფელი მიუღიათ, არ გაუმჯობესებულა კვების რაციონი, დაბალია სახელფასო განაკვეთები.

ჩვენ მუშაობა იმით დავიწყეთ, რომ შევქმენით საინვენსტაციო კომისია, რომელიც მუშაობის პროცესშია და მალე ნათელი სურათი გვექნება.

უკვე განიკარგა თუ არა ბაღების დაფინანსება და შტატები, რა სახის რეორგანიზაცია უნდა განხორციელდეს?

—დიახ, სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო სამსახურის საქმიანობისათვის რაიონის ბიუჯეტიდან გამოიყო სახსრები, ასევე სამსახურის საფინანსო სახსრების წყაროებია შემოწირულობებით, სხვადასხვა პროგრამებში მონაწილეობით და გრანტების სახით მიღებული შემოსავლები. სამსახურში თანამშრომელთა მიღება ხდება ხელშეკრულების საფუძველზე, რაც შეეხება შტატებს, მათი განკარგვა ხდება სამსახურის დაფინანსებისა და სააღმზრდელო დაწესებულების მოთხოვნილებათა პირობების გათვალისწინებით.

რა სირთულეებს აწყდებით, რას აღნიშნავდით?

—სირთულეები თავიდან უამრავი შეგვხვდა. დავიწყოთ იქიდან, რომ ძალზედ გაიწელა სამსახურის ჩამოყალიბების ბიუროკრატიული მექანიზმები, რამაც ხელი შეგვიშალა უშუალოდ ჩაგვეხედა ჩვენს დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურების სასწავლო-სააღმზრდელო პროცესების ხარისხსა და სიახლეების დანერგვაში, გარკვეულწილად შეფერხდა ხელფასების გაცემაც. დანარჩენს ალბათ დრო გვიჩვენებს. თუმცა მატერიალური თვალსაზრისით ჩვენ შევძელით ზოგიერთ ბაღებში საკვები რაციონის გაუმჯობესება, სათბობი მასალებით მომარაგება, ფარდების შეძენა და ა.შ.

ცაგერის ორი ბაღის მუშაობა ასე თუ ისე ჩვენთვის და ჩვენი მკითხველისათვის ცნობილია, რა მდგომარეობაა პერიფერიებში, თუნდაც პროფესიონალი კადრების თვალსაზრისით?

—არანაკლებ მუშაობენ ჩვენი სოფლის ბაღები, თუმც მათ გაცილებით რთულ პირობებში უხდებათ მუშაობა, რადგან შენობა-ნაგებობები ავარიულია და ყველაფერი მოძველებული. არაერთხელ ვყოფილვარ ლაილაშის, წიფერიჩის, ორბელის ბაღების მიერ მოწყობილ ღონისძიებებზე და შეიძლება ითქვას, რომ ამ მოზარდებს ნამდვილად ეტყობათ პროფესიონალი პედაგოგების ხელწერა.

თქვენ პედაგოგის საკმაოდ ვრცელი პრაქტიკა გაქვთ, რა არის პედაგოგისათვის მთავარი, როგორი უნდა იყოს იგი?

—პირველ რიგში პროფესიონალიზმი, ბავშვის სიყვარული და ყოველდღიური სურვილი იმისა, რომ აიმაღლოს თავისი ცოდნის დონე.

რით დაიმედებთ ჩვენს პედაგოგებს?

—მიუხედავად იმისა, რომ პრობლემები უამრავია, იმედს მაძლევს ჩვენი ადგილობრივი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების პირველი პირების გვერდით დგომა, რომელსაც ჩვენ ყოველდღიურად ვგრძნობთ. გარდა ამისა პარლამენტის წევრი ვალერი გიორგობიანი უშუალოდაა დაინტერესებული ბაგა-ბაღისა და მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის პრობლემებით და ზრუნავს მათი გადაჭრისათვის. ასე, რომ ერთობლივი ძალისხმევით წინააღმდეგობებს დავძლევთ.

—გმადლობთ!

თამარ დავითულიანი

ბრინჯაოს ხანის ექსპონატები ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში

ისტორიული ლეჩხუმი დიდი ხანია იპყრობს მკვლევართა ყურადღებას, როგორც ბრინჯაოს ხანის ერთერთი მნიშვნელოვანი მეტალურგიული კერა ერთიანი კოლხური კულტურის სფეროში.

ლეჩხუმში სულ 12 ბრინაჯაოს განძია მიკვლეული. ლაილაშის, ლაჯობას, ცაგერის, ლეხვანოს, სურმუშის სულ ორასამდე ექსპონატი. მათ დიდ ნაწილს მსოფლიო მნიშვნელობის პრეტენზია გააჩნია. ლეჩხუმის ტერიტორიაზე ნაპოვნი ბრინჯაოს ნივთები, წლების მანძილზე გაედინებოდა საქართველოს სხვადასხვა მუზეუმებში, ხოლო ნივთების ერთი ნაწილი დაცულია ერმიტაჟში (სანქტპეტერბურგი).

1924 წელს ცნობილმა მკვლევარმა გიორგი ბოჭორიძემ სოფ. ოყურეშს ერასტი არჯევანიძის ოჯახში ნახა ბრინჯაოს უნიკალური განძი, რომელიც ერასტის მამას, ნიკოს, ტყის გაჩეხვის დროს აღმოუჩენია, ეპოქის სწორუპოვანი ნიმუში მსოფლიოში.

სანკტ-პეტერბურგში დაცული ნივთები, რომელთა რაოდენობა ორმოცს აღწევს, მიეწოდებოდა ლაილაშელი ვინმე ჯანუაშვილის მიერ. ბრინჯაოს გამორჩეული ორი ნივთი ცულსაკაფი და საორხელო დანა, იშვიათობის გამო ერმიტაჟის ბრინჯაოს საექსპონატო განყოფილებაშია განთავსებული.

ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ბრინჯაოს ექსპონატებიდან განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბრინჯაოს მხედარს, რომელიც ნაპოვნია 1938 წელს სოფ. ცაგერას მიწის სამუშაოების დროს. აქ 1/2 მეტრი სიმაღლის ჭურჭელში აღმოჩენილია 42 დასახელების ბრინჯაოს სხვადასხვა დანიშნულების ექსპონატები, ჭურჭელი, რომლითაც განძი იყო დაფლული, გლეხებს დაუმტვრევიათ და ნამტვრევები დაკარგულია, ამიტომ ჭურჭლის რაგვარობის შესახებ წარმოდგენის შექმნა შეუძლებელია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქანდაკება ბრინჯაოს მხედრის, ცხენს უზანგი არ აქვს, ამიტომ მხედარს ფეხები მკვეთრად აქვს მოხრილი და ცხენზე მჭიდროდ მიბჯენილი, მარცხენა ხელში რაღაც საგანი აქვს ჩაბღუჯული, მარჯვენა კი მოკეცილი აქვს. წელზე სარტყელი არტყია, რომელშიც ზურგის მხრიდან უცნობი იარაღი აქვს გარჭობილი. სპეციალისტების დასკვნით ბრინჯაოს მხედარი დამზადებულია ძვ. წ.აღ. X-VIII საუკუნეებში.

1958 წელს ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, სოფ. ხოჯიდან გ. გოლეთიანმა მოიტანა რვა ნივთი, ოთხი კუთხური ცული, ერთი ბრტყელი ცული და ორი სატეხი.

ლეჩხუმის ბრინჯაოს განძებში გამოიყოფა ერთი ჯგუფი, რომელიც შედარებით ადრეულ მასალებს შეიცავს, ესენია ორი განძი ლაილაშიდან და ერთიც სურმუშიდან. ლაილაშის განძი ყველაზე ადრეულია. განძი ოთხი ცულისაგან შედგება. ლაილაშის განძში შემავალ ლაგმებს საქართველოში ჯერჯერობით არ მოეძებნება პარალელი.

მსგავსი შემცვლელი კომპლექსები, თარიღდება ძირითადად ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოთი და I ათასწლეულის პირველი საუკუნეებით.

ლეჩხუმში მიკვლეული ბრინჯაოს მასალებიდან დიდ ინტერესს იწვევს ბრინჯაოს ცულები, რომლებიც 60 ერთეულია. მათგან საინტერესოა ისინი, რომლებზედაც გამოკვეთილია სარიტუალო ცხოველები.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ლეჩხუმში ნაპოვნი ყველა არქეოლოგიური ექსპონატი ნაპოვნია სრულიად შემთხვევით, რადგან ჩვენ ტერიტორიაზე გეგმიური არქეოლოგიურ გამოკვლევები არ ნარმოებულა.

ლეჩხუმი ელის გეგმიურ არქეოლოგიურ ექსპედიციას, რომელიც ახალი აღმოჩენებით გაგვაოცებს...

თინა საღინაძე
კუკური ლეთოდიანი

ქალი

ხევდანარევი ხილამაზე...

მე ბავშვობიდანვე გამირბოდა მისკენ თვალი, რადგან, რომ იტყვიან შარმიანი ქალი იყო (დღესაც ასეა) ... მიდიოდა და თან მიჰქონდა სილამაზეც, მომხიბვლელობაც, სიდარბაისლეც და ლამაზი ოჯახის მსუბუქი ტვირთი. მერე ცხოვრებამ ბევრი კარგიც და ერთი დიდი ტრაგედიის სიურპრიზიც მოუწყო, თუმც მაინც დადგა ფეხზე და როგორც თვითონ მითხრა, მხოლოდღა ინერციით უწყობს ნაბიჯებს ყოველდღიურობას.

როცა მარტის ნომერში ქალის პერსონაზე შეჩერდა არჩევანი, ნათელა ცხვედიანი-ყურაშვილის ვარჩიეთ, რადგან:

„თუნდ ძუ ლომივით ჰქონდეს მას ძალი, მაინც ქალადვე დარჩება ქალი“ და...

სწორედ ასეთად მივიჩნიეთ ეს მშვენიერი ქალბატონი.

სიყვარულით შექმნილი კერა

ქალბატონი ნათელა აბროლაურის რაიონის სოფელ ქვიშორში დაიბადა, საშუალო სკოლა ჭრებალოში დაამთავრა და თანაც, ოქროს მედალზე. ამავე წელსავე თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, ფარმაცევტის სპეციალობაზე ჩაერიცხა. შემდეგ აბროლაურის ცენტრალურ აფთიაქში დაიწყო მუშაობა განაწილებით. ქალბატონ ნათელას სახეც უსევდიანდება და თვალებიც, მონოტონურობით მიყვება: „ერთ-ერთ ახალგაზრდულ თავყრილობაზე, საერთო მეგობრის მეშვეობით ლეჩხუმელი ახალგაზრდა მელსი ყურაშვილი გავიცანი და ჩვენი ეს ნაცნობობა ქორწინებით დასრულდა. მე ყოველთვის წიგნებში თავჩარგულს მნახავდით, თავისუფალი დრო თითქმის არ მქონდა და მიუხედავად იმისა, რომ ლეჩხუმი რაჭასთან ახლოა და თანაც აქ შორეული ნათესავებიც მყავდა, ეს კუთხე მხოლოდ რუკაზე ვიცოდი, დანარჩენი არაფერი მსმენოდა, მაგრამ ვენდე ჩემს ქალურ ინსტიქტს, მელსისი გარეგნულ და შინაგან სიმდიდრეს და სიყვარულით შევქმენით ოჯახი. თანაც ყურაშვილების ოჯახში შესანიშნავი, თბილი და მშობლიური გარემო დამხვდა. დედამთილი—ლუბა ხეცურიანი მუდამ დედობრივი გრძნობით მავსებდა, მამამთილი—დავით ყურაშვილი ხომ მართლაც არაჩვეულებრივი პიროვნება, ერუდირებული და განათლებული კაცი იყო. იგი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ცაგერის სტამბას, შემდეგ მეფრინველეობის ფაბრიკას. მოკლედ რომ გითხრათ და ზედმეტი ქებაც არ გამომივიდეს, ჩვენი ოჯახი ერთი გემრიელი ლეჩხუმური კერა გახლდათ...

ცხოვრების ტრაგიკული სიურპრიზი და ინერციით მიმდინარე ცხოვრება

არ დადის ქვყენად ალბათ, არც ერთი ქალი, რომელსაც თან არ დაჰქონდეს რაღაც ტკივილი და სევდა, თუმც ქალბატონი ნათელას ტკივილი იმდენად მოულოდნელი და უკიდეგანო იყო, რამდენიმე წლის შემდეგაც კი იმდროინდელი ზაფრით ჰყვება ყოველივეს: „მელსი ჩემი მართლაცდა მეორე ნახევარი იყო, ზემოთაც ვთქვი, ლეჩხუმში არავის ვიცნობდი და ის ერთადერთი იყო ჩემი საყრდენი წერტილი. არაჩვეულებრივი პიროვნება გახლდათ, სხვანაირად ნუ გამიგებთ და ძალიან ხშირად მიკვირდა მისი ერუდირება, კულტურა, ის აბსოლუტურად უბოროტო პერსონა იყო. რა არ გაუკეთეს მას, რა არ მოუწყვეს, მაშინ პარტიიდან გარიცხვა ცხოვრების კარიერის სრულ მარცხს ნიშნავდა, ე. ი. სრულიად ჩაძირული იყავი. მიუხედავად ამ ყველაფრისა, მე ხშირად დღესაც მიკვირს: რა ძალა ჰქონდა ამ კაცს, რომ არ გაბოროტდა?! ბოლმა არავისზე არ ჩაიდო! ალბათ მისი ბუნებიდან გამომდინარე. როცა ის ბოლოს სიკვდილს ებრძოდა, მე გულში ვიძახდი: ოღონდ ახლა გადამარჩინე და არასოდეს ვიფიქრებ შურისძიებაზე-თქო! ოღონდ ერთი კია—ნამდვილად მაინტერესებდა და დღესაც მაინტერესებს ვინ იყო ის კაცი, რომელმაც ასე გაიმეტა ჩემი ოჯახი მაშინ, როცა ხატის წინაც კი შემიძლია დავიფიცო, ცუდი არავისთვის არაფერი გაგვიკეთებია. რა არ აპატიეს მელსი ყურაშვილს?!!! ამაზე პასუხი მეც მაქვს და ალბათ მთელ საზოგადოებასაც!!! დღემდე პასუხგაუცემელი რჩება უამრავი შეკითხვა ამ მკვლელობის თავზე დამოკლეს მახვილივით რომ ჰკიდია.

მე მელსის სიკვდილით პირველ რიგში მეუღლე და მეგობარი დავკარგე, არაჩვეულებრივი შვილების მამა, და საერთოდ საზოგადოებამ დაკარგა პიროვნება, რომელიც იწვოდა ლეჩხუმის გულისათვის. ათასგზის გვქონდა შესაძლებლობაც, შემოთავაზებაც, რომ ლეჩხუმიდან გავსულიყავით, სხვაგან აგვეწყო ჩვენი ცხოვრება, მაგრამ ფეხი არ მოიცვალა, რადგან აქ ყველაფერი უყვარდა, სწამდა...

შვილებში ჩარგული იმედი...

ქალბატონ ნათელას და ბატონ მელსის ორი შვილი ჰყავთ—მარიკა და დათო. მიუხედავად იმისა, რომ როგორც ჩემი რესპოდენტი ამბობს, მეუღლის სიკვდილმა სასონარტაცა, ყოველგვარი ხალისი დაუკარგა, ეს ორი ადამიანია ის ძალა, რომელიც აცოცხლებს და რომელთა ამ ქვეყნად არსებობა აძლევს მას ძალას თითოეული დღე განვლოს... თუნდაც ინერციით...

მარიკა ყურაშვილმა ცაგერის სკოლა დაამთავრა, შემდეგ თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტი. ქალბატონ ნათელა მარიკას სავიზიტო ბარათს მაწვდის, სადაც წერია, რომ იგი „ავერსი-ფირმის“ სამედიცინო მარკეტინგის განყოფილების ხელმძღვანელის თანაშემწეა.

დათო ყურაშვილს წარდგენა ალბათ არც სჭირდება, იგი დედისა და მამის მოხდენილობას თან დაატარებს და რაიონში საავადმყოფოს დირექტორის მოადგილეა სამკურნალო ნაწილში და თანაც ქირურგი. რამდენიმე ხნის წინ დათამ ლეჩხუში ცოტა ხნით დატოვა, მაგრამ შემდეგ ისევ უკან დაგვიბრუნდა, მახსოვს ვიღაცამ მოხდენილად აღნიშნა—„დათო ყურაშვილის დაბრუნებით რაიონს იმედი დაუბრუნდაო“ —ამაზე დიდი შეფასება ალბათ არც არსებობს.

ქალბატონი ნათელა აღნიშნავდა, რომ შვილები ჯერ ორივე დაუოჯახებელი ჰყავს, რომ შვილების კვალობაზე არაჩვეულებრივად ზრდილები და თბილები არიან და რომ დათოს, როგორც მამაკაცს ძალიან უჭირს ატაროს მამის მკვლელობით გამოწვეული ტკივილი, სევდა...

ბრძოლა საკუთარ თავთან... მიტევებისათვის

წინასააღდგომო დღეებია. ახლა ალბათ განსაკუთრებული ფასი აქვს დათმენას, მიტევებას, სწორად განსჯას. ძალიან ძნელია ადამიანს შენი საყვარელი პიროვნების მოკვდინება აპატიო, მიუტევო, შეუნდო! მოკრძალებით ვეკითხები სევდიან ქალბატონს—შეძელით-თქო, მკვლელის პატიება? ბოლმას თუ სძლიეთ-თქო! დიდი პაუზის შემდეგ მპასუხობს: „იმ შავბნელ დღეებში, როცა პროკურატურაში დავდიოდი, ათას ჩემნაირ გაუბედურებულ ქალს ვხვდებოდი, მახსოვს, ერთი შვილმკვდარი დედა, რომელმაც ნამდვილად იცოდა შვილის მკვლელის ვინაობა, პროკურორს ეხვეწებოდა: ნუ გამხდით მკვლელს, ხომ იცით ვინცაა, დაიჭირეთო! მე გავბრაზდი და ვუთხარი: „ქალბატონო, თუ იცით მკვლელი ვინაა, რა გაქვს სახვეწარი, თქვენ თვითონ გამოუტანეთ განაჩენითქო“. ეს მაშინ იყო... ახლა იმას ნამდვილად ვერ გეტყვით, როგორ მოვიქცევი კონკრეტულ შემთხვევაში, ეს ის პროცესია როცა ადამიანს არ შეუძლია აკონტროლოს თავისი ქმედება... ამას წინასწარ ვერავინ განსაზღვრავს. თუ ინებებს ოღონდ უფალი, რომ სიმართლე გავიგო! ოღონდ სიმართლე ვიცოდე და მერე რასაც უფალი მიკარნახებს, იმას გავაკეთებ. ხანდახან იმასაც ვფიქრობ, იქნებ სადღაც მისთვის ქირქილებს და დამცინის ამ ადამიანში ჩამჯდარი ეშმაკი, სატანა.

წარსულიდან შემორჩენილი აფთიაქი

ქალბატონი ნათელას აფთიაქი—ასე ეძახიან თანაქალაქელები ამ პატარა და ძველ შენობას. აქ ძველი, მაგრამ უნიკალური პროფესიონალიზმი დევს, ასევე ძველი და უნიკალური დანადგარებით...

„ეს ჩემი ცხოვრების ნაწილია. მინდა იყოს და შევინარჩუნო ვიღაცას მომავალშიც ხომ უნდა გაუჩნდეს ფარმაცევტობის სურვილი. ადრე, სკოლიდან ბავშვები მოჰყავდათ და ათვალიერებინებდნენ პედაგოგები აქაურობას, ყველა განყოფილებას. დღესაც თავის ადგილზეა ყველაფერი. ყველა ფანჯარაშია დღეს აფთიაქი, მაგრამ...

როგორც ქალს აუცილებლად მიმაჩნია, რომ ქალი უნდა იყოს საზოგადობის აქტიური წევრი, რადგან იგი მამაკაცს არაფრით ჩამოუვარდება. ყოველდღიურ ცხოვრებაში ბევრ გულსატეხს ვხვდები, მაგრამ ძალიან დიდი იმედი მაქვს იმისა, რომ აღმშენებლობის პერიოდი მოდის და უფრო შესამჩნევი გახდება წინსვლა უახლოეს მომავალში!

მე იმედით ვცოცხლობ!“

***

უამრავი რამ დევს ნათელა ყურაშვილის იმედში. ალბათ, უამრავი და საინტერესო—ზოგიც პირადული, ზოგიც საზოგადოებრივი, რადგან მასში, ამ უძლიერეს ქალბატონში ერთიანადაა შეკრული ოჯახი და საზოგადოება. უსმენ მას და ფიქრობ-როგორ შემოინახა ამოდენა დათმენა, სულის სიძლიერე, როგორ არ გატეხა დარდმა და ბოლმამ როგორ მოერია საკუთარ თავს, როგორ ასწავლა შვილებს სხვების სიყვარული, პატივისცემა, მამის სახელის შეუბღალავად ტარება, ან თუნდაც რა ძალით მიიჩქარის ყოველ დილას პატარას, ძველი და ისტორია გამოვლილი აფთიაქისკენ, ისევ ნათელას აფთიაქს რომ ეძახიან თანაქალაქელები?

როგორ? ღმერთის ძალით და იმ დიდი ქალურობით, ერთეულებს რომ ხვდებით ხოლმე წილად!

მარინა სვანიძე



მადლობა

წერილი რედაქციას

სოციალური დახმარებისა და სახელმწიფო საგენტოს მართლაც რომ იმედით შეჰყურებს ჩვენი შეჭირვებული მოსახლეობა. აქ განხორციელებული პროგრამის წყალობით სიღატაკის ზღვარზე მისულმა არაერთმა ოჯახმა გაუმჯობესა მატერიალური მდგომარეობა.

და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სააგენტოს კოლექტივი (ხელმძღვანელი მარინა ბენდელიანი) გულისხმიერად გვემსახურება. გვიხსნიან პროგრამის პირობებს, გვაკვალიანებენ, გვეხმარებიან. ოჯახებში შემოსულები ობიექტურად და კეთილსინდისიერად ახდენენ ჩვენი მდგომარეობის დათვალიერება-შემოწმებას.

მადლობა მათ ამ ყველაფრისათვის.

ვასო გივი ძე კვირიკაშვილი ,
დარეჯან ქომეთიანი
სოფ ოყურეში

„გარეთ იმდენი კარგი ქალია"...

„გარეთ ისეთი ნორჩი ქარია, გარეთ იმდენი კარგი ქალია"—ამბობს პოეტი. ჭეშმარიტად ასეა, თუმც ცაგერის ცენტრალური ბიბლიოთეკის დარბაზში ლეჩხუმის ღირსეულ ქალბატონთა მხოლოდ ნაწილი შეიკრიბა გასაგები მიზეზების გამო.

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის ცენტრალური ბიბლიოთეკის ხელმძღვანელთა ინიციატივით, რაიონის გამგეობის, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დახმარებითა და ხელშეწყობით 8 მარტის შეხვედრა მოეწყო ქალაქის მანდილოსანთა წარმომადგენლებთან.

დაბაზი გაჯერებული იყო გაზაფხულის სურნელით და... სიყვარულით. მიუხედავად მძიმე სოციალური ფონისა, ყოველღიური პრობლემებისა, ლამაზმა წუთებმა ქალბატონებს აშკარად ამაღლებული განწყობა შეუქმნა, მათ თვალებში ღიმილი კრთოდა და კმაყოფილება, ამ ყველაფერს ჩვენს მასპინძლებს—ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომლებს უნდა ვუმადლოდეთ.

დარბაზში სტუმრის სტატუსით წარმოდგენილი იყვნენ მრავალშვილიანი დედები, ხელისუფლების წარმომადგენელი თუ საწარმო-ორგანიზაციათა ხელმძღვანელი ქალები, „ახალგაზრდა" ბებიები, წყვილები და სხვა კატეგორიის წარმომადგენლები.

შეხვედრის მონაწილეებს დედის დღე და 8 მარტი მიულოცა ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომაროემ ომარ ჭაბუკიანმა, გამგეობის წარმომადგენელმა კახა კოპალიანმა.

შეხვედრა მიჰყავდა ცენტრალური ბიბლიოთეკის გამგეს ციცო სადილიანს. მან თამადობა კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსს გიორგი კვირიკაშვილს დაულოცა, რომელმაც თბილი და ლამაზი სადღეგრძელოები მიუძღვნა შეხვედრის მონაწილეთ.

ქალბატონ ციცოს შეხვედრა მიჰყავდა ლაღად, იუმორითა და ხალისით, რაც მთელს დარბაზს გადაედო.

მასპინძლებს არც მოწვეული ქალბატონები დარჩნენ ვალში: ვინ ლექსით, ვინ სიმღერით, ვინ ლამაზი სიტყვებით გამოხატა თავისი სათქმელი და მადლიერება.

განწყობა კიდევ უფრო აამაღლა სარაიონო კულტურის სახლთან არსებულ ვაჟთა ვოკალურ ანსამბლის (ხელმძღვანელი ზაზა ყურაშვილი) სიმღერებმა. მათი მოსმენა მართლაც რომ უდიდესი სიამოვნება იყო.

დალოცვა, მოფერება, ხალისი გვიან საღამომდე გაგრძელდა. შეხვედრის დასრულება არავის ეთმობოდა.

ბოლოს რაიონის ხელმძღვანელთა ეგიდით ქალბატონებს სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.

მზევინარ ძნელაძე

გაზაფხულის მარტი

საბავშვო ბაღში

გაზაფხულის შემობრძანება ზეიმით აღნიშნეს ცაგერის №1 საბავშვო ბაღში, ქალს, დედას მოესიყვარულენ აქ ჩვეულად. ლექსებით, სიმღერებით და ცეკვებით გააზალისეს პატარებმა აქ მოწვეული სტუმრები.

„აღსაზრდელებთან ერთად სიურპრიზი მათმა აღმზრდელებმაც მოგვიწყვეს, ქალბატონმა ცარო გუგავამ, ბელა ნემსაძემ პატარებთან ერთად მშვენიერი სიმღერა შეგვისრულეს რუსუდან კოპალიანის აკომპანიმენტის თანხლებით.

ზეიმის ბოლოს გაზაფხულის დადგომა მოგვილოცა ბაგა-ბაღის გამგემ, ქალბატონმა ცარო გუგავამ.

სტუმართა შორის ბრძანდებოდა სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო და საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელი ქალბატონი მარინა ბურჯალიანი, რომელიც ფრიად კმაყოფილი დარჩა პედაგოგთა მუშაობით.

ჩვენ მადლობას ვუხდით ქალბატონებს ცარო გუგავას, ნორა ჯანელიძეს, ბელა ნემსაძეს, ირინა ჩხეტიანს, რუსუდან კოპალიანს და მთელს პედაგოგიურ კოლექტივს გულითადი მასპინძლობისათვის.

თამარ დავითულიანი

მოდით, დავგავოთ ქალაქი!

ჩვენი ქალაქი ლეჩხუმის სახეა. აქ უცხოვრიათ ჩვენს ნინაპრებს და აქ უნდა იცხოვრონ ჩვენმა შვილებმაც. ეს მარტო ლამაზი სიტყვები კი არა, რეალობაა. ცაგერს კი ნამდვილად აკლია ჩვენი ზრუნვა და ყურადღება. მის იერ-სახეს და წესრიგს ხომ ჩვენ ვქმნით—თითოეული და ყველა ერთად.

ბოლო წლებში ცოტა რამ როდი გაკეთდა ქალაქის განაშენიანება-გალამაზებისათვის, შეიღება არა ერთი შენობის ფასადი, აშენდა სამრეკლო, საფუძველი ჩაეყარა არა ერთ მშენებლობას.

მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ქალაქის სანიტარული სახე. ხანგრძლივი დიდთოვლიანობის შემდეგ ქუჩები და სკვერები ზამთრის ნარჩენებითაა სავსე, წყალგამტარი არხები ამოვსებულია შლამით და ნაგვით, საწარმო-დაწესებულებათა ეზოები და მიმდებარე ტერიტორიებიც დანაგვიანებულია.

არ გვინდა დავკონკრეტდეთ, თითქმის მთელი ქალაქი დაბინძურებულია.

გაზაფხული ქალაქში შედის. ცაგერს არც მწვანე სამოსელი აკლია და არც სილამაზე. მოდით, დავგავოთ იგი, გავასუფთავოთ, გავიტანოთ ნარჩენები. ამისათვის არსებობს მოწოდებული სამსახურები, საწარმო-ორგანიზაციებიც და მოსახლეობაც.

სანიტარულ წესრიგს დასაცავად არც დიდი კაპიტალია საჭირო და არც დიდი ძალისხმევა, უბრალოდ გულია საჭირო და მონდომება, იმის გაცნობიერება, რომ ეს ჩვენი ქალაქია, აქ ჩვენ ვსუნთქავთ, ეს ჩვენი შვილები იზრდებიან.

ქალაქის მცხოვრებლები

კანონი პრის — ვეძებოთ განხორციელების გზები!

„თვითმმართველობის შესახებ" კანონი ნელ-ნელა იკრებს ძალას და ჩვენი საზოგადოების თითოეული წევრის ყოველდღიური საჭიროება და განუყრელი ნაწილი ხდება, ვინც ერთხელ ზედაპირულად მაინც თვალი შეავლო ზემოთხსენებულ დოკუმენტს, დამერწმუნება, რომ თუ სრულყოფილებისა არა, საზოგადოებაზე მორგებულის პრეტენზია მას უდაოდ აქვს, მეორე მხარეა-რამდენად განხორციელებადია მასში შეტანილი თითოეული მუხლი თუ პუნქტი, თუმც მისი რეალურ ცხოვრებაში განზოგადება ნებისმიერ მოქალაქეზე, მის აქტიურობასა და მონდომებაზეა დამოკიდებული.

სწორედ ასეთი საკითხების გარკვევას, ახალი გზებისა და მეთოდების ძიებასა და დარეგულირებას ეწეოდა 2007 წლის 20 მარტს ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული განვითარების ინსტიტუტის წარმომადგენლის ნელი ფიცხელაურის, ეროვნული ასოციაციის იურისტის, თვითმმართველობის ლობისტის კახა გურგენიძის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის თვითმმართველობის რესურსცენტრის თავმჯდომარის ნანა სოხაძის სტუმრობა. თათბირ-სემინარს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის წევრები, აპარატის მუშები ესწრებოდნენ.

რა საკანონმდებლო ბაზა გვაქვს, რისი გაუმჯობესება გვსურს ერთობლივი ძალისხმევით, რა უშლის ხელს კანონით მინიჭებული უფლება-მოვალეობების განხორციელებას—აი, ის ძირითადი საკითხები, რაც ამ შეხვედრაზე გამოიკვეთა. „ადგილობრივი თვითმმართველობის პრობლემები და მათი ლობირება" ეს თემა კი შეიძლება ითქვას, გახლდათ ძირითადი ლაიტმოტივი პირველი თათბირი-სემინარისა.

ნაყოფიერი დისკუსიის მიმდინარეობისას მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისაგან წინ წამოიწია ისეთმა ძირეულმა საკითხებმა, როგორიცაა: თვითმმართველობის ინტერესების დაცვა, ზედმეტი ადმინისტრირების პრობლემები, ქონებრივი გამიჯვნა, ტყის გადაცემის საკითხები და ა.შ.

სემინარის პირველი თემა ამით ამოიწურა.

მეორე თემაც საკმაოდ გლობალური და პრაქტიკული გახლდათ.

„ევროპული კომისია დემოკრატიისათვის სამართლის მეშვეობით" და „შრომის კოდექსის გზამკვლევი", რომელიც დამსწრეთ „საერთაშორისო გამჭირვალობა-საქართველოს" კოორდინატორმა ქალბატონმა ნანა სოხაძემ წარუდგინა.

უნდა აღინიშნოს, რომ თათბირ-სემინარმა ნაყოფიერი მუშაობის შთაბეჭდილება დატოვა.

მარინა სვანიძე

მურმან ლებანიძე

სიხილი ქალის

ბედნიერება იყო ჩემთვის, იყო და არის
სიყრილი—ყოლის,
სიყრილი — დედის,
და საერთოდ, სიყრილი—
ქალის!

არის ქალთაგან პირველის და პირველზე მეტის,
თოვლებრ სპეტაკი
მშობლიური
სიყრილი —
დედის.

არის მეორე, ხმას გამოსცემს, რომელიც ბროლის,
მოსიყვარულის,
შემნუნარებლის,
სიყრილი —
ყოლის.

და კიდევ, კიდევ, ფუი, ეშმაკს, იყო და არის,
ატაცებულის, მშვენიერის, ოცნებით მთვრალის,
გამოანვევი და
ხორცელი
სიყრილი—
ქალის...

იყო ცხოვრება, იყო სისხლის, ცრემლის ღვარები,
ესეც ხომ იყო—
იცინოდნენ
ჩვენთვის
ქალები!

ყღერდა გიტარა, მთვარის შუქი მიადგა ქალწულს,
(ვიგონებ სიყრმეს,
ოქროსუბადს,
ბავშვობის ნარსულს).

ის იცინოდა, იცინოდა ნათელში მთვარის,
თითქოს პირველად გავიგონე
სიყრილი
ქალის!

ესეც ხომ არის—სასოებით, იმედით ხვალის,
ხეს ცხოვრებისას
აშრიალებს
სიყრილი ქალის...

ოჰ, გზას სოფლისას რა გალევდა,
ანუ რა გალევს
ან გზას გასავლელს,
რომ არ იყოს
სიყრილი
ქალის!

***

მარეკები შლიდნენ ბანაკს
ქარი ჩამი-ჩუმით ჰქროდა,
ვინექ, რომელიღაც ბალახს
უცბად—
ქალის სუნი ჰქონდა.

თითქოს ცრო დამკრეს თავში,
თითქოს პაპაჩემი ცხონდა—
ათას სურნელოვან შვავში
ბალახს—
ქალის სუნი ჰქონდა.

სუნი ჰქონდა—არა დალის,
ლალის —ცისფრის, ანუ თეთრის,—
სუნი—საზოგადოდ ქალის,
სუნი—
საზოგადოდ მდედრის...

ღმერთო, ღმერთო! მე სულ ველი
სიკვდილს-შენ მაცოცხლო ვინძლო,
სანამ ვიცნო ეს სურნელი,
სანამ
ეგ სურნელი ვიგრძნო

***

ჩემო პანია, საბრალო დედავ,
ბედკრულს, გატანჯულს, გაძარცვულს გხედავ,
რა ენამ გითხრას:
—ხვედრს ნუ ემდური!—
განშორებისთვის კაცთათვის დათქმულს
ვუახლოვდებით დანყევლილ საფგურს,
სადაც დავრჩები
მე, უკეთური...

შენ აიძრები გაფოთლილ ქარში,
ქვეყნის ნაპირზე ბებერი ბავშვი
დაგრჩება—შენი
გამმნარებელი;
ოჰ, ღმერთო, ღმერთო! მე თვლებს ვხუჯავ!—
იედვებს შენი ჯაღარის ბღუჯა,
ინივლებს შენი
მატარებელი.

მ/წლის 30 მარტს ქ. ცაგერში გელა ხვადაგიანის სახელობის სპორტულ დარბაზში. ჩატარდა რაიონის ჩემპიონატი ფრენბურთში ვაჟთა გუნდებს შორის, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ექვსმა გუნდმა (ჩემპიონატის მთავარი მიზანი და ამოცანა არის საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატისთვის მომზადება).

რაიონის პირველობა ფრენბურთში

შეჯიბრება მოეწყო ორ ქვეჯგუფში წრიული სისტემით, ქვეჯგუფებში I და II ადგილებზე გასულმა გუნდებმა ითამაშეს ნახევარფინალები და შემდეგ ფინალი.

ფინალური შეხვედრაში ქვედა ცაგერის გუნდმა საქართველოს ფრენბურთელთა ნაკრების წევრის დათო ლიპარტელიანის მეთაურობით დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა ქ. ცაგერის გუნდი და მოიპოვა რაიონის ჩემპიონის წოდება. მესამე ადგილზე გავიდა ქ. ცაგერის ბარათაშვილის ქუჩის ფრენბურთელთა გუნდი.

საუკეთესო მოთამაშედ მიჩნეულ იქნა ცაგერელი ფრენბურთელი ოთარ საღინაძე, საუკეთესო ვეტერან ფრენბურთელს პრიზი გადაეცა ფრენბურთის ამაგდარ მწვრთნელ თენგიზ საღინაძეს (სპორტსკოლა), ხოლო ყველაზე ახალგაზრდა საუკეთესო ფრენბურთელის პრიზი გადაეცა თორნიკე სვანიძეს (ქვ. ცაგერი).

გამარჯვებული და საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები დაჯილდოვდნენ სპეციალური პრიზებითა და ფულადი ჯილდოებით.

ზ. სილაგაძე

ბუხუ, ვახტანგი, სოსო, თემურ შკუბულიანები, ბიძინა გუგავა ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

გურგენ სერგოს ძე დავითულიანის

გარდაცვალების გამო.

ბუხუ, შაქრო, ვახტანგ, სოსო, თემურ შკუბულიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ნაილი ზურაბიანი-ელბაქიძის ომარ, მურად ზურაბიანების ოჯახებს

ლევან ნუკრის ძე ელბაქიძის

გარდაცვალების გამო.

დავით, ომარ, მურად, როსტომ, ზურაბიანები, მურთაზ ღურჭუმალიძე ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ლევან ნუკრის ძე ელბაქიძის

გარდაცვალებას.

მალვინა მინდაძე, ლელა ჭაბუკიანი, მარინა ლეშკაშელი, ლია გურგუჩიანი, მანან გოლეთიანი თანაუგრძნობენ მწუხარებაგი მარინა და უსუპ ჭაბუკიანებს—შვილის

თორნიკე ჭაბუკიანის

გარდაცვალების გამო.

ხსოვნა

ხასიღო (ღულუნა) მექის ძე ჩახვეტაძე



„ხიზმარიკით გაფრენილო,
უდიდესო დარდო,
ამ ხიზმარში დაბრუნებას, ღმერთო, როგორ ვნატრობ“.

ჩვენო ერთადერთო საფიცარო ძამიკო! ვიცით, გრძნობ როგორ გვაკლიხარ და გვენატრები. ამ გრძნობას ვერც ცრემლით გამოვხატავთ და ვერც სიტყვებით.

ვერა და ვერ ვეგუებით უშენობას, გვიჭირს თითოეულ დღის გათენება და დაღამება, თან დაგვდევს შენი სევდიანი თვალები—შველას რომ გვთხოვდი და ვერ გიშველეთ.

ბედისწერამ შენთვის საკმაო ასაკი ვერ გამოიმეტა, ღუღუ! ვაი, რომ უშენოდ შევხედით შენი დაბადების დღეს. გილოცავთ! აქა ვართ—შენს საფლავთან—შენი გულდათუთქული დები, დისშვილები, დისშვილიშვილები, ყველა, ვინაც გიყვარდა და ვისაც უყვარდი. ყვავილები მოგიტანეთ, სანთლები დაგინთეთ, ცრემლი გვახრჩობს. ციქ ქვაში გაცოცხლებულ შენს სახეს ვეფერებით.

ჩვენო გულმართალო ძამიკო! ისღა დაგვრჩენია—ჩვენმა ლოცვამ და ალალმა ცრემლმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში.

კიდევ ერთხელ გილოცავთ დაბადების დღეს.

გვიყვარხარ!

შენი დები, დისშვილები ოჯახებით

პოეზია

აღსარება

ცხოვრება გავლიე რა მალე
ობოლო ცრემლი ვერ დავმალე.
ნიღაბი იმისთვის ვიკეე,
უჩუმრად მეთესა სიკეთე.

მაგრამ ცდა გამოდგა ამაო,
შემინდე, შემინდე, მამაო.
იმედი დავკარგე რამხელა,
რა გითხრა, არ ძალმიძს გამხელა.

რაც უფრო მოხშირდა ბინდები,
ძვირფასო, მით უფრო მინდები.
დაგეძებ, რამდენი წელია,
ეს ცრემლი დღეს უფრო მწველია.

მომწყინდა ლანდებთან ლაციცი,
მაგრამ სხვა რა მინდა, არ ვიცი
მიგზავნის კოშმარულ ზმანებებს
სიბერე, თავს რომ არ განებებს.

2.05.2001 წ.

მოხუცისადმი

ო, მალე მოვალ და მოგიეეები
თუ არ გღალატობს, ძვირფასო, სმენა,
წინაპრის ანდერძს როგორ მივეეები,-
ვით ამოვიდგი გრძნეული ენა.

მე ისე მიეეარს მიწა ქართული,
ვით გაზაფხული ქართა ხორუმში,
მის დასაცავად ვარ შემართული,
როგორც დიმიტრი უარაეორუმში.

ქართული სიხსლის ისმის ეივილი,
ისე ძლიერი, როგორც არადეს.
და მორჩენილი გულის ტკივილი
როგორ იქნება, არ მიხაროდეს.

რომ გავიმარჯვებთ, აზრი ერთია
და არ არსებობს ეჭვი მცირედი.
როგორც ეოველთვის, ჩვენთან ღმერთია,
ნუ მოგკლებოდეთ მისი იმედი.

გუშინ მონათლეს პატარა ნინი

გუშინ მონათლეს პატარა ნინი,
ეურში ჩაგვესმის მისი ტიტინი
ბაბუას, მისთვის ჭკუას რომ კარგავს,
უეეება ნინი ნათლობის ამბავს.

ხელში უჭირავს პატარა ჩანთა,
ჩვენება რომ არ დაზარებია.
ბაბუას ქუდი რომ ადარ ჩანდა,
თავისთვის ჩუმად წუხდა ბებია.

მაშინ გამოჩნდა სწორი და მრუდი,-
არ დაიმალა შუბი ხალთაში,
როცა ბაბუას ნაქები ქუდი
ბებიამ ნახა ნინის ჩანთაში.

გადავეშვი სიეეარულის მორევში

დავისეენე, რაც სიმულვილს მოვეშვი,
გადავეშვი სიეეარულის მორევში
მტერია თუ მოეეარეა, რას ვაქნევ,
მოვა დრო და თავის სახელს დავარქმევ.

ვეფერები, ვინც ქუჩაში შემხვდება,
სიეეარულის თასი ვიცი, მე მხვდება.
თუ ქალია, საფერებლად მივიწევ,
კაცია და სამეგობროდ მივიწეევ.

მიმხვდარი ვარ, მამაჩემს აქვს ცხონება,
ამნაირი უნდა ჯობდეს ცხოვრება.
ცოტა გვიან კი მომეხდა მიგნება,
მაგრამ მცირე შვება ვიგრძნო იქნება.

ო. ჭაბუკიანი

ჰაიონის ეელტუჩის სამსახეური ატარებს აქციას „ჩემი ლეჩხუმი“

ჰოგჩამის ფაჩგლებში იგეგმება ჰაიონის მოსწავლე ახალგაზრდობის ძალებით ლეჩხუმის ისტორიულ ადგილებზე ღაშქრობების მონყობა, ეკლესია-მონასტრების მოვლა-პატრონობის მიზნით განმენდა-დასუფთავების სამუშაოების შესრულება და ა.შ.

უმჯობესია ღონისძიებები ჩატარდეს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. გთხოვთ მიიღოთ მონაწილეობა ამ პატრიოტულ ღონისძიებებში.

დათვალიერება-კონკურსი „გაზაფხული 2007“

ჰაიონის ეელტუჩის სამსახური ატარებს დათვალიერება-კონკურსს „გაზაფხული 2007“ ჰაიონის სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობის მონაწილეობით შემდეგ ნომინაციებში:

- საესტრადო ფანრი – I ნომერი
- ქართული ფოლკლორი – I ნომერი
- ეორეოგრაფიული (თანამედროვე ქართული) – I ნომერი
- მხატვრული კითხვა – I ნომერი
- სკერი ინსტრუმენტრება – I ნომერი

ზონალური შესარჩევი კონკურსები ჩატარდება აღპანაში, ორბელში, ბარდნალასა და ქვედა ცაგერში

10-17 მაისს

დასკვნითი კონცერტი გაიმართება ქ. ცაგერის ეელტუჩის სახლში

20-26 მაისს

კონკურსის შედეგების შეფასება მოხდება შესაბამისი ჟიურის მიერ ნომინაციებში ცალ-ცალკე, კონკურსში გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან სხვადასხვა პრიზებით.

რატომ ეშინოდა ვანდოლენს სიეეარულის?

მსუქანსა და მუქნელ ონოტრ დე მალზაკს ახალგაზრდობამიც თავისზე უფროსი ქალთან ჰქონდა სასიყვარულო ურთიერთობა და შემდგომში მუდამ თავისზე უფროსთან ეიმეზებოდა. ყოველთვის და ყველაფერში მათ ემორჩილომდა, ერთის გარდა—ეორავინ მოსურსა ცოლად გაყოლა, გარდა ერთი ქალბატონისა: მწერლის და ეველინ განსკაიას რომანი რამდენიმე წელს გრძელდებოდა და მხოლოდ მალზაკის სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე დაქორწინდნენ.

***

გერმანელ თეოლოგთან მიპენჰაუერს ჰქონდა ქალთან ურთიერთობა, მაგრამ ცოლი არასდროს ყოლია. ერთხელ, იტალიაში მან გაიცნო მშეენიერი ცეკვეზა და დაქორწინებამზე დაიწყო თქვა, მაგრამ ერთხელ ქალი მის თვალწინ გულწასული დაეცა, რაგორც კი თვალი მოეკრა მაირონს. ამ შემთხვევამ შოპენ ჰაუერს გადაათქმევინა ცოლის შერთვა. „მეშინოდა, რომ ცოლი რქემს დამადგამდა“—აღიარა თეოლოგოსმა.

სიბრძნის სეგენაურიდან

სიმართლე მძიმე ტვირთია, მით უფრო, თუ დიდხანს ატარებ.

■

შენ დაბადებული ხარ არა შენთვის და არა ჩემთვის, არამედ მარულისთვის.

(ციცერონი)

■

...როცა ძალაუფლებისათვის ბრძოლა ღირსებაზე მეტია...

■

უშნოდ გავეჩხირე ყელში ამ უკმართ წუთისოფელს.

(ფიროსმანი)

■

ვისი რწმენაც სუსტია, სხვას ვერ გაულვიძებს რწმენას.

(სტალინი)

■

როცა ვზრუნავთ სხვის ბედნიერებაზე, ჩვენ ვპოულობთ საკუთარს.

■

ომში არავინ იმარჯვებს, ყველა წაგებული რჩება

■

ქრისტე ყველა ადამიანშია, ის უბრალოდ უნდა აღმოვაჩინოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორი
თამარ დავითულიანი

პასუხისმგებელი მდივანი
მზევინარ ქნელაძე

სარედაქციო კოლეგია:
ეკა ყვირილიანი,
მარინა სვანიძე,
ეკა ბენდელიანი

მისამართი:
ცაგერი, რუსთაველის №47 მობ: 899 951678

გაზეთი აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქუთაისის შპს „მანდარინის სტამბაში“

ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №33
ტელ: 23779, 23499